



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 261
07/11/2022

261-2-4-202211071808



„მხატვრული მრავალსერიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების მიზნით კონკურსის (#2/3) გამოცხადების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 26 სექტემბრის #207 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:

1. „მხატვრული მრავალსერიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების მიზნით კონკურსის (#2/3) გამოცხადების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 26 სექტემბრის #207 ბრძანებით დამტკიცებულ „მხატვრული მრავალსერიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების კონკურსის (#2/3) პირობებში“ შევიდეს ცვლილება, შეიცვალოს:

ა) მე-2 ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ვადა და ნაცვლად ფორმულირებისა: „პროდიუსერი, რომელმაც მიიღო დაფინანსება ეროვნული კინოცენტრისგან სცენარის შექმნის მიზნით, ვალდებულია, არაუგვიანეს 2023 წლის 3 მარტისა, კინოცენტრს ჩააბაროს დოკუმენტაცია ელექტრონული და ბეჭდური სახით, კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობისათვის.“ განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: „პროდიუსერი, რომელმაც მიიღო დაფინანსება ეროვნული კინოცენტრისგან სცენარის შექმნის მიზნით, ვალდებულია, არაუგვიანეს 2023 წლის 25 იანვრისა, კინოცენტრს ჩააბაროს დოკუმენტაცია ელექტრონული და ბეჭდური სახით, კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობისათვის.“

ბ) პროდიუსერის მიერ მე-2 ეტაპზე წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის მე-13

პუნქტი და განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: „შეთანხმება/ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს მრავალსერიიანი მხატვრული ფილმის წარმოების ეტაპისთვის მოპოვებული ალტერნატიული დაფინანსების არსებობას, მათ შორის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო უნდა იყოს ტელევიზია, ციფრული პლატფორმა ან კინოდარბაზი. შეთანხმების/ხელშეკრულების აუცილებელი პირობაა ტელევიზიის/ციფრული პლატფორმის მზადყოფნა მრავალსერიიანი ფილმის დემონსტრირების თაობაზე.“

გ) კონკურსის ეტაპები და განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: „გამოცხადებული კონკურსი ორეტაპიანია. საექსპერტო კომისია განიხილავს როგორც სცენარის შექმნის ეტაპზე წარმოდგენილ პროექტებს, ასევე, ფილმის წარმოების ეტაპზე შემოტანილ პროექტებს. საექსპერტო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დასკვნის სახით. ამ დასკვნით ის რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს, დააფინანსოს პროექტები განსაზღვრული რიგითობის მიხედვით. კომისიას უფლება აქვს, დაფინანსების რეკომენდაცია გაუწიოს პროექტების მხოლოდ გარკვეულ რაოდენობას ან არცერთ პროექტს.

საექსპერტო კომისიის პირველ სხდომაზე ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. კომისია ეცნობა პროექტის შეფასების კრიტერიუმებს და ქულათა სისტემას. საექსპერტო კომისიის წევრები ხელს აწერენ დოკუმენტებს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისა და კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე. საექსპერტო კომისიას ეძლევა გარკვეული ვადა პროექტების გასაცნობად, პროექტების რაოდენობიდან გამომდინარე.

კონკურსის პირველ ეტაპზე კონკურსი გაიმართება ორ ტურად. პირველ ტურში ფასდება წარმოდგენილი პროექტები, მე-2 ტური გულისხმობს გასაუბრებას პროექტის ავტორებთან და პროექტის პრეზენტაციას. კომისიის წევრები ორივე ტურის განმავლობაში ანიჭებენ პროექტებს ქულებს, დადგენილი შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

კონკურსის მე-2 ეტაპი ტარდება ერთ ტურად, კომისიის წევრები აფასებენ პროექტებს წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე.“

დ) ფილმის წარმოების დასრულების ვადა და განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: „4-5 ეპიზოდიანი ფილმი უნდა დასრულდეს 8 თვეში, ხოლო 3 ეპიზოდიანი ფილმის დასრულების ვადაა 6 თვე. ვადის ათვლა იწყება კინოცენტრის დირექტორის მიერ ფილმის დაფინანსების თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან. ფილმის დასრულების თარიღად ჩაითვლება ფილმის დასრულების აქტის შედგენის თარიღი.“

2.დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი-ტი სპეციალისტს დავით ყურაშიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

3.ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე



დირექტორი

